ინფორმაცია

ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი **26 აგვისტო. 2011 წ.**

ვადასტურებთ, რომ ქ. ბათუმის მერიის მიერ გენერალ გ. მაზნიაშვილისა და გ. ლორთქიფანიძის მემორიალის საუკეთესო ესკიზის კონკურსის საშუალებით (2011 წლის 10 ივნისი, კონკურსი №91) სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: რობერტ ჩხაიძე

საკონკურსო კომისიის წევრები: ნათია სურგულაძე

ნაზი ფუტკარაძე

ირაკლი სურმანიძე

ელგუჯა ხაზარაძე

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიის მიერ გენერალ გ. მაზნიაშვილისა და გ. ლორთქიფანიძის მემორიალის საუკეთესო ესკიზის შესარჩევი

საკონკურსო კომისიის ოქმი №1

ქ. ბათუმი, **26 აგვისტო, 2011 წ.**

სხდომას ესწრებოდნენ: რობერტ ჩხაიძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქ. ბათუმის მერი;

ნათია სურგულაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის სამსახურის უფროსი;

ნაზი ფუტკარაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ირაკლი სურმანიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსი;

ელგუჯა ხაზარაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი–მხატვარი;

სხდომას არ ესწრებოდა: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქ. ბათუმის მერის მოადგილე - ჯემალ ანანიძე, რომელიც იმყოფება კუთვნილ შვებულებაში (ქ. ბათუმის მერის ბრძანება №3/704, 09.08.2011).

დღის წესრიგი: თვითმმართველი ქალაქი – ბათუმის მერიის მიერ გენერალ გ. მაზნიაშვილისა და გ. ლორთქიფანიძის მემორიალის საუკეთესო ესკიზის შესყიდვის მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2011 წლის 10 ივნისს გამოცხადებული №91 კონკურსის შედეგების განხილვა.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა ნათია სურგულაძემ კომისიას გააცნო გენერალ გ. მაზნიაშვილისა და გ. ლორთქიფანიძის მემორიალის საუკეთესო ესკიზის შესარჩევი კონკურსის შედეგები. 2010 წლის 10 ივლისის 18^{00} საათისათვის აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო წინადადება წარმოადგინა მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა - ოლეგ პატარიძემ.

საკონკურსო კომისიამ დალუქული კონვერტის გახსნის შემდეგ განიხილა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება. განხილვისას აღმოჩნდა, რომ არ არის წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების 1.13 მუხლით გათვალისწინებული პირობები, კერძოდ საკონკურსო წინადადების ფასი, ინფორმაცია კონკურსანტის მიერ განხორციელებული ანალოგიური საქმიანობის შესახებ (შესაბამის ესკიზებთან და ფოტომასალასთან ერთად), ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ.

კომისიამ დაადგინა:

1. კონკურსანტის - ოლეგ პატარიძის მიერ გენერალ გ. მაზნიაშვილისა და გ. ლორთქიფანიძის მემორიალის საუკეთესო ესკიზის შესარჩევ კონკურსში წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ შეესაბამება საკონკურსო განცხადების მოთხოვნებს;

2. დისკვალიფიცირებული იქნეს კონკურსანტი ოლეგ პატარიძე გენერალ გ. მაზნიაშვილისა და გ. ლორთქიფანიძის მემორიალის საუკეთესო ესკიზის შესარჩევ კონკურსში.

3. შეწყდეს თვითმმართველი ქალაქი – ბათუმის მერიის მიერ გენერალ გ. მაზნიაშვილისა და გ. ლორთქიფანიძის მემორიალის საუკეთესო ესკიზის შესყიდვის მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2011 წლის 10 ივნისს გამოცხადებული №91 კონკურსის პროცედურა.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: რობერტ ჩხაიძე

საკონკურსო კომისიის წევრები: ნათია სურგულაძე

ნაზი ფუტკარაძე

ირაკლი სურმანიძე

ელგუჯა ხაზარაძე